ხელშეკრულება № 19
გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

სოფელი ზ. განთიადი

11 სექტემბერი 2019 წ

ერთის მხრივ, სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ზურაბ კეკელიძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ივიჯი"**, (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ედნარ გელაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს'" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას .

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია **საკანცელარიო საქონელი და ნოუთბუქის შეკეთება** (CPV: 30100000, 30200000, 50300000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს **353,55** (სამასორმოცდასამეტი) ლარსა და 55 თეთრს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (სოფელი ზედა განთიადი).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 11 ოქტომბრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:
სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლა
ს/კ: 248386660
მის.: საქართველო,ხელვაჩაური, სოფ. განთიადი
ელ. ფოსტა: z.gantiadi@gmail.com
ტელ: 577 44 05 30
საბანკო რეკვიზიტები:
სს ..ვითიბი ბანკი ჯორჯია" ბათუმის ფილიალი
ბანკის კოდი: UGEBGE22
ანგ. № GE[illegible]5500000002563608

დირექტორი: _____
/ ზურაბ კეკელიძე /

მიმწოდებელი:
შპს ,,ივიჯი"
ს/კ: 245439271
მის.: საქართველო, ქ. ბათუმი ჭავჭავაძის ქ. N 66
ტელ: 599 58 98 19; (0422) 27 17 49
ელ. ფოსტა: evg@evg.ge
საბანკო რეკვიზიტები:
სს ,,საქართველოს ბანკი" ბათუმის ფ-ლი,
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ. № GE05BG0000000118402800

დირექტორი: _____
/ ედნარ გელაძე /

EVG Ltd
Digitally signed by EVG Ltd
Date: 2019.09.12 16:39:10 +04'00'

ხელშეკრულების საგნის აღწერა

შესყიდვის ობიექტია:

	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
1	კალამი Helio HL-777A	ცალი	50	0,15	7,50
2	საქაღალდე პლასტიკური, A4, ზამბარიანი დამჭერით, იასამნისფერი Forpus FO21931	ცალი	4	4,90	19,60
3	საქაღალდე პლასტიკური, A4, ზამბარიანი დამჭერით, ნარინჯისფერი Forpus FO21935	ცალი	6	4,90	29,40
4	საქაღალდე ფაილი A4 Helio, HL-303-80 50ც (30380)	ცალი	3	6,50	19,50
5	რვეული 96-ფურცლიანი A4 Unipap (045/0096)	ცალი	12	2,70	32,40
6	რვეული 12-ფურცლიანი დაწყებითი კლასების (5709)	ცალი	12	0,40	4,80
7	რვეული A5 96-ფურცლიანი მინდვრიანი (55532, რ96)	ცალი	10	1,30	13,00
8	რვეული 48 ფურცლიანი მინდვრიანი (55531)	ცალი	6	0,80	4,80
9	კალამი Piano PS-007 (10808)	ცალი	2	1,00	2,00
10	ფლომასტერი Deli C10120 24-ფერიანი, რბილი წვერით	ცალი	1	9,20	9,20
11	კალამი Piano PG-223 (20194)	ცალი	6	1,60	9,60
12	CCA Cat5e UTP Cable 24AWG Grey 305m (00981)	მეტრი	85	0,55	46,75
13	ქაღალდი "ალექსანდროვის" (101215)	ცალი	10	1,00	10,00
14	მყარი დისკი Team Group GX1 240GB SSD 2.5" (T253X1240G0C101)	ცალი	1	110,00	110,00
15	ნოუთბუქის შეკეთება	სხვა	1	35,00	35,00
	სულ		209		353,55

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლის დირექტორი: / ზ. კეკელიძე /

დირექტორი: / ე. გელაძე /

EVG Ltd

Digitally signed by EVG Ltd
Date: 2019.09.12 16:39:33 +04'00'

ხელწერილი

(ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

სოფელი ზედა განთიადი 11 სექტემბერი 2019 წ.

ჩვენ, მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ საღებავის შესყიდვის მიზნით, გამარტივებული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესაბამისად, **შპს** ,,ივიჯი"-ის მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

კერძო სკოლის დირექტორი / ზ. კეკელიძე /

მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირი: / ხ. გოგიტიძე /